



ქ. თბილისი

„5“ ივნისი „2015 წელი

ბრძანება № 01-24

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N119/ნ-ის მუხლი 23-მე მუხლის 1 და მე-2 პუნქტების, სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე- 8 და მე-15 მუხლების, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2015 წლის 4 ივნისის საბჭოს სხდომის ოქმი N2 -ის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2015 წლის 5 ივნისს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 12 აგვისტოს.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაცია განისაზღვროს 2015 წლის 8 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით
4. საბუთების მიღება განხორციელდეს ყოველდღე გარდა კვირისა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) ორი ფოტოსურათი (3x4);
- ე) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- ვ) ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ.

რექტორის მ/შ,
პროფესორი



ჯემალ ძაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040

www.sportuni.ge